დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 12 თებერვალი**

დისციპლინური საქმე №5/24
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2024 წლის 17 იანვრის №5 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 18 იანვრის №13/5-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლე აჭიანურებს საქმის განხილვას. ამასთან, მოსამართლემ 2023 წლის 10 ნოემბრის განჩინება მიიღო უკანა თარიღით.

1.2. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ გამოიჩინა დაინტერესება მოპასუხე მხარის სასარგებლოდ და სასამართლო პროცესებს წარმართავდა მიკერძოებულად, კანონის უხეში დარღვევით.

1.3. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას. კერძოდ იგი აცხადებს, რომ მოსამართლემ:

- მოსარჩელის ახალ დამსაქმებელს საჭიროების გარეშე შეატყობინა, რომ მოსარჩელე მხარემ წინა დამსაქმებელს უჩივლა;
- 2023 წლის 10 ნოემბრის განჩინებაში წინასწარ დაანონსა სამომავლო გადაწყვეტილება;
- უგულებელყო კანონი და გამოიყენა საქართველოს შრომის კოდექსის ძველი რედაქცია;
- უარი უთხრა მოსარჩელეს მოწმის სახით გამოეძახებინა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებაზე პასუხისმგებელი ერთ-ერთი პირი. ამასთან, პროცესის განმავლობაში არ დაინტერესებულა დავის არსებითად გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტებით.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2021 წლის 16 ნოემბერს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, პირვანდელ პოზიციაზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობისა და შევიწროების ფაქტის დადგენის, დისკრიმინაციული შევიწროების შედეგის აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების

მოთხოვნით. 2021 წლის 6 დეკემბერს მოსარჩელე მხარემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 31 დეკემბერს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2022 წლის 23 მარტს, 27 აპრილს, 24 მაისს, 27 ივნისს, 18 ივლისს, 5 სექტემბერს და 13 სექტემბერს.

2022 წლის 26 იანვარს, 14 მარტს, 19 აპრილს, 9 ივნისს, 27 ივნისს, 15 ივლისს, 13 სექტემბერს და 19 სექტემბერს მხარეებმა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების დართვის მოთხოვნით განცხადებები წარადგინეს სასამართლოში.

2022 წლის 27 ივნისს მოსარჩელე მხარემ საქმეზე მოწმის გამოძახების მოთხოვნით შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში.

2022 წლის 19 სექტემბერს და 2023 წლის 26 ოქტომბერს მოპასუხემ მტკიცებულებების გამოთხოვის მოთხოვნით შუამდგომლობები წარადგინა სასამართლოში.

-- საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მხარეების შუამდგომლობა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო მოსარჩელის შუამდგომლობა მოწმის გამოძახების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2023 წლის 15 დეკემბერს მოსარჩელემ მოსამართლის საქმიდან აცილების მოთხოვნით შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი

უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა არ წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ უარი თქვა მოწმის დაკითხვაზე და სასამართლო პროცესის განმავლობაში არ დაინტერესებულა დავის არსებითად გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას გამოძახებული მოწმის დაკითხვაზე ან არ გამოიძახოს იგი, თუ ცნობს, რომ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადაც იძახებენ მოწმეს, არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის. ამასთან, მითითებული კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ გარემოებებზე მსჯელობა მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ მხარემ ვერ შეძლო წერილობით მტკიცებულებათა მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს ისინი.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, დადგინდა რომ მოპასუხე მხარემ მოსარჩელისათვის ახალი დასაქმების ადგილიდან დასაქმების თაობაზე ცნობის, შრომითი ხელშეკრულებისა და შრომითი ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მოთხოვნით შუამდგომლობები წარადგინა

სასამართლოში. სასამართლომ შუამდგომლობების შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ დავის საგნის, საფუძვლების, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის, მოპასუხე მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვების შეუძლებლობისა და მოთხოვნის დამფუძნებელ მატერიალურ ნორმათა გათვალისწინებით, სახეზე იყო მისი დაკმაყოფილების კანონით გათვალისწინებული საფუძველი. ამდენად, განჩინების მიღებისას მოსამართლე მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

რაც შეეხება, მხარის მოთხოვნას, იმის შესახებ რომ მოსამართლემ 2023 წლის 10 ნოემბრის განჩინებაში წინასწარ დაანონსა საბოლოო გადაწყვეტილება, აგრეთვე, მოსამართლემ გამოიყენა საქართველოს შრომის კოდექსის ძველი რედაქცია. განჩინების დეტალური შესწავლის შედეგად მხარის მიერ მითითებული გარემოებები არ დადასტურდა.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეწყდეს -- -- 2024 წლის 17 იანვრის №5 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3 პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №5/24 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 და 1.2 პუნქტები).

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი